ლელო

23 - 25 ივნისი, 1993 წ.
№44 (1082) ● ფასი 20 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სექსუალური მანიაკი ჩემპიონის მანტიაში (იხ. მე-4 გვ.)

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის წერილი (ოლიმპიურ ტელემარათონთან დაკავშირებით)

12 ივნისი, 1993 წ.

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს მივესალმო საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ისევე როგორც თქვენი რესპუბლიკის ყველა სპორტულ ორგანიზაციას. ტელემარათონის არსი და თავად მისი ძირითადი მიზანი, რომელიც ოლიმპიური ქარტიისა და ოლიმპიური მოძრაობის პრინციპების განვითარებაში მდგომარეობს, საყოველთაო აღიარებას იმსახურებს.

წელიწადზე ნაკლებია გასული მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური ოჯახის ახალი სრულუფლებიანი წევრი გახდა. საერთაშორისო ოლიმპიურ გაერთიანებაში ინტეგრაციისა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ახალი ფორმების ძიების პერიოდში მე კარგად მაქვს შეგნებული, რომ ეოკ-ს დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება.

რაც შეეხება თქვენი ოლიმპიური პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას, რომელიც სწორედ ამ ტელემარათონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობას სპორტსა და ბიზნესს შორის, ისევე როგორც სახელმწიფოს მონაწილეობას ელიტარული სპორტის ფინანსურ დახმარებაში. დარწმუნებული ვარ, თქვენი მთავრობა და საქართველოს ხელმძღვანელები საჭირო ზომებს მიიღებენ ამ თვალსაზრისით.

ვიცი, რომ ამჟამად საქართველოს სპორტსმენები დიდი მონდომებით ემზადებიან მომავალ ოლიმპიურ თამაშებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად. მჯერა, რომ თქვენი ოლიმპიელების სახელები ისევე ცნობილი გახდება მომავალ თამაშებშიც, როგორც წარსულში.

გისურვებთ წარმატებებს.

ხუან ანტონიო სამარანჩი.

ან პირველი, ან მეორე...

ერთობ სტაბილურად იასპარეზა თბილისელმა ჩუბინმა ნინო სალუქვაძემ ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის ორ ეტაპზე, რომლებიც მიუნხენსა და მილანში გაიმართა. სწორედ აქ გამოსცადა მან იტალიური ფირმა „ბინელის" მცირეკალიბრიანი პისტოლეტი და მილანში 584 ქულით პირველობაც მოიპოვა, მიუნხენში კი მხოლოდ ჩინელ ლის ჩამორჩა (583). პნევმატური პისტოლეტით ნინომ მიუნხენში პეტერბურგელ სვეტლანა სმირნოვასავით 387 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ფინალში დათმო პირველობა. ეს „ისტორია" მილანშიც განმეორდა, ოღონდ აქ ლოგვინენკოსა და სალუქვაძეს აღმოაჩნდათ 387-387 ქულა, მეორე ცდაზე კი ნინომ 385 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა.

დამთავრდა საქართველოს მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

„დინამო" (თბილისი) — ჩემპიონი და თასის მფლობელი

„შევარდენი-1906" (თბილისი) — მეორე ადგილი

„ალაზანი" (გურჯაანი) — მესამე ადგილი



უმაღლესი ჯგუფი

19 ივნისი, XXXII ტურის მატჩი

„ოდიში" (ზუგდიდი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 2-1

21 ივნისი, XXXVIII (დასკვნითი) ტური

„კახეთი" (თელავი) — „დილა" (გორი) 3-0. „დილა" არ გამოცხადდა.
„დინამო" (ბათუმი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2-4
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 4-3
„ივერია" (ხაშური) — „დინამო" (თბილისი) 1-4
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „სამტრედია" (სამტრედია) 4-0
„გურია" (ლანჩხუთი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 3-2
„ცხუმი" (სოხუმი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 4-5
„ოდიში" (ზუგდიდი) — „მრეტები" (თბილისი) 1-2

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	32	25	2	5	92-35	77
„შევარდენი-1906" (თბილისი)	32	20	4	8	66-39	64
„ალაზანი" (გურჯაანი)	32	20	3	9	70-47	63
„სამგურალი" (წყალტუბო)	32	18	4	10	73-51	58
„ტორპედო" (ქუთაისი)	32	16	4	12	66-53	52
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	32	15	5	12	49-54	50
„მეტალურგი" (რუსთავი)	32	14	7	11	73-69	49
„კახეთი" (თელავი)	32	14	3	15	50-59	45
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	32	12	6	14	47-45	42
„სამტრედია" (სამტრედია)	32	12	4	16	33-49	40
„დინამო" (ბათუმი)	32	11	6	15	56-56	39
„გურია" (ლანჩხუთი)	32	12	2	18	37-57	38
„დილა" (გორი)	32	11	5	16	39-49	38
„ოდიში" (ზუგდიდი)	32	11	3	18	52-64	36
„ივერია" (ხაშური)	32	10	4	18	38-62	34
„მრეტები" (თბილისი)	32	10	3	19	33-64	33
„ცხუმი" (სოხუმი)	32	8	1	23	59-84	25

ევროტურნირებზე იასპარეზებენ:

თბილისის „დინამო" — ჩემპიონთა თასზე,
ბათუმის „დინამო" — თასების მფლობელთა თასზე.

Vlle Congrès extraordinaire
VIIth Extraordinary Congress
VII. ausserordentlicher Kongress

17.6.1993

GENÈVE

სრულუფლებიანებიც გავხდით

ჟენევიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა უეფას რიგგარეშე კონგრესის მუშაობაში.

კონგრესზე ერთხმად დაამტკიცეს გადაწყვეტილება, უეფას დროებითი წევრის სტატუსის მქონე 9 ქვეყნის (უკრაინა, სლოვენია, ხორვატია, საქართველო, რუსეთი, ბელარუსი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სომხეთი) ფეხბურთის ფედერაციების სრულუფლებიან წევრებად მიღების შესახებ. ამრიგად, დღეისათვის უეფაში 43 სრულუფლებიანი წევრია.

კონგრესზე დროებითი წევრის სტატუსი მიენიჭათ აზერბაიჯანსა და მოლდოვას.

როგორც სფფ-ში გვითხრეს, ჩვენს დელეგაციას ჰქონდა არაერთი საქმიანი შეხვედრა ევროპის საფეხბურთო წრეების წარმომადგენლებთან, რაც უთუოდ წაადგება ქართული ფეხბურთის საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

27 ივნისს თბილისში ჩამოდის უეფას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის საკითხს ჩვენი სტადიონების ევროტურნირებისთვის მზადყოფნის შესახებ.

26-27 ივნისს, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში. აქვე საზეიმოდ აღინიშნება ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დვალიშვილი-ხნიკინას დაბადების 60 წლისთავი. ყველა ორგანიზაციას, ასოციაციას, მძლეოსნობის მოყვარულს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა ამ ღონისძიებაში.

შეჯიბრებები დაიწყება: 26 ივნისს — 16 სთ; 27 ივნისს — 11 სთ.

მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

მალეევასთან — 0:2

ლონდონი. ლელა მესხი უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირის პირველსავე წრეში შეხვდა მეათე ნომრად განთესილ ბულგარელ მაგდალენა მალეევას და დამარცხდა — 2:6, 2:6.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

25 ივნისს, პარასკევს, თბილისის ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მესამე კონფერენცია.

დასაწყისი 14 საათზე.

ის დრო სჯობდა...

მტრობა და შური სუფევს ჩოგბურთში—ნუხან „დიდი რომანტიკოსები"

ამას წინათ შემოგთავაზეთ საინტერესო ცნობები უიმბლდონის ტურნირის საპრიზო ფონდებსა და ცალკეულ ვარსკვლავთა ჰონორარების შესახებ. დღეს მათი რაოდენობა ალარავის აკვირვებს. არადა, იყო დრო, სუპერჩოგბურთელები იმავე უიმბლდონში გამარჯვებისთვის მხოლოდ რამდენიმე ასეულ დოლარს იღებდნენ. ჩოგბურთის ისტორიაში ისინი „დიდ რომანტიკოსებად" მოიხსენებიან.

ერთი მათგანი გახლავთ ალექს ოლმედო, რომელიც მეოთხედი საუკუნეა ლოს-ანჯელესში „ბევერლი ჰილსის" სასტუმროს ნომერ პირველ კორტზე მთავარ მწვრთნელად მუშაობს. მას აქვს საათში 90 დოლარი და უფასო მაგიდა სასტუმროს რესტორანში. ზოგჯერ 56 წელს მიღწეულ ექსჩოგბურთელთან თამაშის სურვილს გამოთქვამს ჰოლივუდის რომელიმე ვარსკვლავი. ოლმედო, ბუნებრივია, სიქას აცლის მათ, მაგრამ ამ უკანასკნელებს საყვედურის სიტყვა არ ცდებათ. ზოგჯერ ოლმედო შეგნებულად აგებს პარტიას. ესეც კონტრაქტის პირობებში შედის. ცნობილი ჩოგბურთელის დამარცხება ჰოლივუდის ვარსკვლავებს საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის სჭირდებათ.

ამის მიუხედავად, 1959 წლის უიმბლდონის ჩემპიონს (ფინალში მან ლეგენდარულ როდ ლეივერს აჯობა) სამუშაო სიამოვნებას ანიჭებს. თავისი ყველაზე დიდი ტრიუმფის დღეს პრემიის სახით მან 500 გირვანქა სტერლინგი მიიღო. ეს თანხა დღევანდელ მილიონებთან შედარებით სასაცილოდ ჩანს.

1967 წლის უიმბლდონის ფინალისტის, 53 წლის ვილჰელმ ბუნგერტის აზრით, (იგი ჯონ ნიუკომბთან დამარცხდა) „პროფესიული ჩოგბურთი მძიმე ხელობად იქცა და ამის გამო დაიკარგა სილაღე და ხალისი თამაშში". ძველი ვარსკვლავები დაუფარავ სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ჩოგბურთში აღარ სუფევს „ურთიერთგატანის და ამხანაგობის" სული. იყო დრო, როცა გამარჯვებულები და დამარცხებულები ტურნირის შემდეგ ერთად ანიავებდნენ პრემიის სახით მიღებულ ფულს რესტორნებში. დღეს კი, მათი აზრით, გასახდელში სუფევს მტრობა, შური და ერთმანეთისადმი უნდობლობა.

„რას მოიმოქმედებს ეს ხალხი, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჰონორარების ზრდა შეწყდება", კითხულობს გფრ-ის ოცგზის ჩემპიონი და უიმბლდონის ფინალისტი წყვილთა თანრიგში, 45 წლის ჰანს-იურგენ პომანი (მან თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე 150 ათასი დოლარი მიიღო) და თვითონვე იძლევა პასუხს: „ისინი ჯერ დაჭამენ ერთმანეთს, მერე გაიფანტებიან და სხვა საქმეს მოჰკიდებენ ხელს. ფული საამისოდ მათ ბლომად აქვთ".

პომანის პარტნიორი 44 წლის იურგენ ფასბერგენი ვარაუდობს, რომ შესაძლოა სულ მალე სპონსორებმა ზურგი აქციონ ჩოგბურთს. მაშინ პროფესიონალი ვარსკლავები გადაიქცევიან ერთმანეთის მტრებად და ჩოგბურთიც, ბუნებრივია, დაიღუპება.

48 წლის ჯონ ნიუკომბის განცხადებით (იგი 1967 წლის უიმბლდონის ჩემპიონია), „ჩოგბურთი ნარკოტიკია, რომელსაც როგორც უნდა გიჭირდეს, თავს ვერ დააღწევ, ვერ შეეშვები". უკვე ოთხი წელია, რაც ინტენსიურად მუშაობს მის მიერ შექმნილი საჩოგბურთო სკოლა სან-დიეგოში (ტეხასის შტატი). ავსტრალიელი ხშირად იხსენებს ევროპაში ცხოვრების პირველ თვეს, როცა დღიურად 5 დოლარს იღებდა: „ჩვენ თვითონ ვრეცხავდით ფორმას, ვაპრიალებდით კედებს, ვგვიდით და ვასუფთავებდით ოთახს, რომ როგორმე დაგვეზოგა ფული".

1967 წელს ნიუკომბმა უიმბლდონის გარდა აშშ-ის ღია ჩემპიონატიც მოიგო და ჯილდოდ 15 ათასი დოლარი მიიღო: „ეს დიდი ფული იყო, მაგრამ არ კმაროდა იმისთვის, რომ ფირმის წარმომადგენელი გავმხდარიყავი სპორტული ფორმის გასაღების დარგში". 1968 წელს ჩოგბურთი ოფიციალურად გახდა პროფესიული სპორტი. ნიუკომბმა იმ წელიწადს 60 ათასი დოლარი მოაგროვა. ამ თანხით შეიძინა უძრავი ქონება და აისრულა დიდი ხნის ნატვრა: მუშაობს ავსტრალიის „მეცხრე სატელევიზიო არხში".

თუმცა თავისი „მაგნატები" (მილიონერები) ამ რომანტიკული ჩოგბურთის წარმომადგენლებსაც ჰყავდათ. ყველაზე მდიდარი მათ შორის პოლონელი ვოიტეკ ფიბაკი იყო, რომლის შესახებაც ნიუკომბს არაერთხელ უთქვამს: „იგი ფულს უფრო უკეთ აკეთებდა, ვიდრე თამაშობდა". ფიბაკი 23 წლის ასაკში გახდა პროფესიონალი, მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში კი მხოლოდ ორჯერ მოხვდა. მას, იმავე ნიუკომბის თქმით, „ჩოგბურთი უყვარდა მხოლოდ ფულისთვის. ისე კი, ნამდვილად გატაცებული იყო ლიტერატურით, თეატრით და ხელოვნებით". დღეს იგი მულტიმილიონერია. ცხოვრობს ვილაში, რომელიც სასახლეს ჰგავს ყველა პარამეტრით. მისი რეზიდენცია განლაგებულია „როლან გაროსის" სტადიონის მახლობლად...

პრივატიზება სპორტში

სპორტულ ბაზას შეიძლება ბევრი მფლობელი გამოუჩნდეს, მაგრამ ვინ იქნება ნამდვილი პატრონი?

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის განყოფილებამ გამოკითხა სპორტული ფედერაციების, სპორტის კომიტეტის, განათლების სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომლები — სულ 110 რესპონდენტი, რომელთაც პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე — როგორ ესახებათ რესპუბლიკის სპორტული ბაზების ხვალინდელი დღე, საჭიროა თუ არა მათი პრივატიზება და თუ საჭიროა, ვინ უნდა იყოს მათი მფლობელი.

სპეციალისტების უმრავლესობამ (61 პროცენტი) გამოთქვა აზრი, რომ პრივატიზება სპორტში უნდა განხორციელდეს, რესპონდენტთა 23 პროცენტი მისი წინააღმდეგია, ხოლო 10 პროცენტს ჯერ არ გაურკვევია თავისი პოზიცია ამ საკითხზე.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ სფეროში გვხვდება არაერთი ფაქტი პრივატიზების არსის დამახინჯებისა. ამიტომ გამოკითხულთა 4Y პროცენტი შიშობს, რომ შესაძლოა „ყველაფერი მოხვდეს უწესო გზით გამდიდრებული საქმოსნების ხელში, გაძვირდება მომსახურება, საშუალო და დაბალი ფენები კატასტროფის წინაშე დადგებიან. პრივატიზება შეძლებულებისთვის არის ხელსაყრელი" და „სპორტის რეზერვის აღზრდაზე ზრუნვა მეორეხარისხოვანი გახდება".

ჩვენს მიერ ამგვარი აზრების ანგარიშგაუწევლობა პრობლემის გაუბრალოება იქნებოდა. მითუმეტეს, რომ სტატისტიკის თანახმად გამოჩენილ სპორტსმენთა უმრავლესობა მცირედ უზრუნველყოფილ მოქალაქეთა ფენიდან არის გამოსული.

გამოკითხულთა დიდ ნაწილს კარგად აქვს შეგნებული პროცესების არასასურველი გზით წარმართვის საშიშროება, ამიტომაც მხოლოდ 18 პროცენტი უჭერს მხარს სპორტული ობიექტების პრივატიზებას კერძო პირთა მიერ.

რესპოდენტთა 75 პროცენტს სპორტული ობიექტების ერთადერთ საიმედო პატრონად შესაბამისი ფედერაციები მიაჩნია. გამოკითხვის მასალები ცხადყოფს, რომ პრივატიზების პერსპექტივაზე რესპოდენტთა შეხედულებების მოტივაცია განპირობებულია იმის მტკიცე რწმენით, რომ მხოლოდ ფედერაციებს შესწევთ უნარი გადაწყვიტონ მაღალი კლასის სპორტსმენების, მათი რეზერვების მომზადების საკითხები საფინანსო-კომერციულ საქმიანობასთან შერწყმით, ეს უკანასკნელი კი ჭეშმარიტად მოემსახურება სპორტის ინტერესებს. შეინიშნება აზრთა ფართო სპექტრი: „ობიექტები უნდა გადაეცეს ფედერაციებს სიმბოლურ ფასში", „სპორტული ობიექტები უნდა გადაეცეს ფედერაციებს უსასყიდლოდ", „უპრიანია მივმართოთ მთავრობას თხოვნით, უსასყიდლოდ გადაეცეს ობიექტები ფედერაციებს"...

ვიქტორ კოღუაშვილი

რომელი აბაშელი გინახავთ უველოსიპედოდ...

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია!

მუდამ ინტერესით ვკითხულობთ „ლელოში" დაბეჭდილ ნარკვევებსა და ჩანახატებს ცნობილ ქართველ სპორტსმენებზე. და თუ გაზეთში ველოსპორტის წარმომადგენლებზე დაისტამბება მასალა, ჩვენი სიხარული ორკეცდება. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობაში ხუთივე ველოსპორტს მივდევდით, ხუთივეს ერთი და იგივე მწვრთნელი გვყავდა — ოთარ („ველიკო") ჯონჯოლიანი. ცხადია, ძალიან გვინდა თქვენს გაზეთში წავიკითხოთ მასზე — ჩვენი აზრით, ამ დაუმსახურებლად დავიწყებულ ჩემპიონსა და რეკორდსმენზე.

პატივისცემით ზამირა ელიზბარაშვილი, დოდო ბედოევა, გიული ხურაძე, ყარამან გეგეჭკორი, სლავა გვაზავა.

თავდაპირველად ჩვენი დღევანდელი სტუმრის მეორე სახელის შესახებ: მართლაცდა, რატომ „ველიკო", საიდან გაჩნდა იგი ჯონჯოლიანის გვართან?

— სოხუმში დავიბადე სამოცდაექვსი წლის წინათ, 15 მაისს. მეზობლად ერთი რუსი ქალი ცხოვრობდა, სპორტის დიდი მოყვარული იყო და თუმცა დაბადების მოწმობაში ოთარი ჩამიწერეს, მას ჩემი მშობლებისთვის უთქვამს „ეს ბიჭი უსათუოდ სპორტსმენი გამოვა, თანაც გამოჩენილი". ასე დამანათლა მეზობელმა უცნაური სახელი — „ველიკო". ბევრს ეს ჩემი ნამდვილი სახელი ეგონა, ყოველ შემთხვევაში, სპორტულ წრეებში მხოლოდ ასე მიცნობენ...

„ნათლიას" გაუმართლა — ჯონჯოლიანების ბიჭი მართლაც ჩინებული სპორტსმენი დადგა — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ სამგზის რეკორდსმენი სატრეკო რბოლაში.

...7 წლის ოთარი მშობლებთან ერთად ზღვისპირეთიდან საცხოვრებლად [illegible]ედულეთში — აბაშის რაიონის სოფელ საგვაზაოში გადავიდა. ვინ იცის, მამამისს თავისი შვილი „სხვა მარშრუტით" რომ წაეყვანა — მშობლიურ სვანეთში, მესტიაში, იქნებ ოთარი ჩემპიონი ალპინიზმში გამხდარიყო.

მთელი აბაშა იმთავითვე ველოსიპედის ტრფიალი იყო, ოთარი კი... კრივის სექციაში ჩაეწერა (იქნებ მამის გენებმა იჩინა თავი). ასეა თუ ისე, უმცროს ჯონჯოლიანს მართლაც უყვარდა მუშტი-კრივი და ტოლ-ამხანაგებში აღიარებული ყოჩი იყო. აბაშის სპორტსკოლის კრივის სექციაში მას „კირილე მასწავლებელი" (გვარი არ ახსოვს) ავარჯიშებდა ორი წლის განმავლობაში. 50 ყმაწვილი ეუფლებოდა აქ ტყავის ხელთათმანის საიდუმლოებას და ცნობილი მოკრივეების — ლუდუშაურის, ნავასარდოვის, გორგასლიძის მიღწევებზე ოცნებობდა.

ომის დამთავრების შემდეგ ოთარ ჯონჯოლიანი თბილისში გადმოვიდა — ფიზკულტურის ტექნიკუმში დაიწყო სწავლა. კრივს მაინც არ ეშვებოდა (ახლა ცნობილ სპეციალისტ გიორგი ვართანოვთან ვარჯიშობდა), მაგრამ მოულოდნელად ტანვარჯიშმა გაიტაცა. თუმცა, მოულოდნელი აქ არაფერი იყო — ოთარმა ერთ მშვენიერ დღეს დიდებული ოსტატების — ალექსანდრე ჯორჯაძის, გოგლიკა ბაბილოძის და ნიკოლოზ თაყაიშვილის ვარჯიში იხილა და... გადაწყვიტა ეღალატა კრივისთვის: „აი, მესმის ნამდვილი არისტოკრატიული სპორტი, კრივი კი, კაცმა რომ თქვას, მაინც ჩხუბია!"

ნიჭიერმა სპორტსმენმა ახლა ტანმოვარჯიშეობაზე დაიწყო ფიქრი, ბეჯითად, წარმატებით ვარჯიშობდა, 1947 წელს მოსკოვში, ფიზკულტურელთა I საკავშირო აღლუმში გამოსასვლელადაც შეარჩიეს.

— მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გამართულ აღლუმს, მოგეხსენებათ, სტალინი ესწრებოდა, საქართველოს წარგზავნილებს განსაკუთრებით კარგად გვინდოდა გამოსვლა — იხსენებს ო. ჯონჯოლიანი — მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, პირიქით გამოვიდა: ალუმინის უზარმაზარ რგოლზე ბარე 50-მეტრიანი დროშა იყო მიმაგრებული სტალინის გამოსახულებით. მოედნის ცენტრში ჩვენი ვარჯიშის დროს იგი მოულოდნელად გადატყდა... სტადიონზე უხერხული, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იქვე „კომპეტენტური ორგანოების" წარმომადგენლებმა გულდასმით შეამოწმეს რგოლი, გადახერხილი ხომ არ იყო სადმეო...

მოსკოვიდან ჩამოსული ო. ჯონჯოლიანი იმ დროისათვის ასე აუცილებელ მშდ-ს ნორმატივებს აბარებდა თბილისის „დინამოს" სტადიონზე. კუნთმაგარმა სპორტსმენმა ისე კარგად გაირბინა საშუალო დისტანცია, რომ მძლეოსანთა მწვრთნელი ალექსანდრ ტარასევიჩი „გადაეკიდა", გინდა თუ არა, მძლეოსანი უნდა გამოგიყვანოო. არ ვიცით, დათანხმდებოდა თუ არა ოთარი, ერთი რომ არა: ნორმატივების ჩაბარებაში მძლეოსნობის გარდა სხვა სახეობებიც შედიოდა — კერძოდ, ველოსპორტი და... ოთარ ჯონჯოლიანი ველოსტადიონზე მივიდა კამოს ქუჩაზე. მწვრთნელმა არკადი (ტიტიკო) ხაბურზანიამ, რომელიც იმხანად საქართველოს ნაკრებს ედგა სათავეში, ჭაბუკს გამოუყო სარბოლო „უკრაინა" და თან შეეკითხა: „ველოსიპედზე ჯდომა ხომ იცი, ბიჭო?... ჰოდა, ორი წრე დაარტყი ტრეკზე და ჩათვლას მოგცემ!". ოთარს გულში გაეცინა: აბაშიდან იყო და აბა, რომელმა აბაშელმა არ იცის ველოსიპედზე ჯდომა!"

ო. ჯონჯოლიანმა მართლაც მშვიდობიანად გაიარა „ჩასათვლელი" დისტანცია, ფინიშზე მისულმა კი შეამჩნია, რომ ხაბურზანიამ რაღაც გადაუჩურჩულა კოლეგას, მერე თავისთან მიიხმო ჭაბუკი და... განმეორდა ნაცნობი სურათი: „შენ ველოსიპედისტად ხარ დაბადებული, მოეშვი სხვას ყველაფერს!"

ათ დღეში თბილისის პირველობა იწყებოდა საგზატკეცილო რბოლაში, ტანმოვარჯიშეებს შეჯიბრება კი, ვინ იცის, როდის მოუწევდათ. 22 წლის ოთარი დათანხმდა ა. ხაბურზანიას და მისი ხელმძღვანელობით გულმოდგინედ შეუდგა მზადებას რიგით უკვე მეოთხე სახეობაში.

ასე, ალბათ, მხოლოდ ფანტასტიკურ წიგნებსა და სათავგადასავლო კინოფილმებში ხდება (გაიხსენეთ, თუნდაც, ფილმები: „მეკარე", „პირველი ხელთათმანი"). დიახ, ახალბედა ველოსიპედისტი ჯონჯოლიანი გამოვიდა 22,5-კილომეტრიან საგზატკეცილო კროსის სტარტზე დილმის მიდამოებში და... ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. ოთარმა აჯობა ისეთ უძლიერეს მრბოლს, როგორიც ომარ კიკნაველიძე იყო, საგზატკეცილო რბოლაში კი იგი მეორე გახლდათ — კიკნაველიძემ აქ რევანში აიღო. ეს იყო 1949 წელს.

გადაწყდა, რომ ო. ჯონჯოლიანი ტრეკზე გამოეყვანათ. საკავშირო ასპარეზობა — ქალაქების მატჩი — გაიმართა ტულაში. აქ მას და მის თანაგუნდელებს — ოთარ დადუნაშვილს, ვლადიმერ ძებნიაურს სპრინტულ რბოლაში პაექრობა მოუწიათ შვიდგზის საკავშირო ჩემპიონთან იგორ იპოლიტოვთან, უძლიერეს ველოსიპედისტებთან: ევგენი გრიშინთან (გახსოვთ, ალბათ, ეს ცნობილი სპრინტერი — მოციგურავე), ვლადიმერ კრასნიკოვთან და სხვებთან. იმ დღიდან ოთარს ველოსიპედისთვის აღარ უღალატია.

ო. ჯონჯოლიანი

ტულის პირველ დიდ სტარტს სხვა, პასუხსაგები შეჯიბრებები მოჰყვა — სიმფეროპოლში, რიგაში, მოსკოვში, ლენინგრადში, გროზნოში, ერევანში. სულ უფრო იხვეწებოდა ო. ჯონჯოლიანის ტექნიკა, სულ უფრო სწრაფად ტრიალებდნენ მისი ველოსიპედის ბორბლები.

...ტრადიციისამებრ, სეზონის ბოლოს საქართველოს დედაქალაქში მოსკოვისა და თბილისის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი იმართებოდა. სტუმართა გუნდი მთლიანად „ვვს"-ის ველომრბოლებისგან შედგებოდა, ისინი, როგორც წესი, ახალ საკავშირო რეკორდებს ამყარებდნენ ხოლმე შემოდგომით თბილისში. მაგრამ 1951 წლის ოქტომბერში სტუმრებს არც ოთარ ჯონჯოლიანი ჩამორჩა. გიტში ადგილიდან 2 კილომეტრზე ქართველმა სპრინტერმა გააუმჯობესა უმაღლესი საკავშირო მიღწევა: ი. იპოლიტოვმა მეორე დღესვე დაიბრუნა რეკორდი, თუმცა... სულ ორიოდე დღით. სტარტზე კვლავ გამოსული ო. ჯონჯოლიანი მაყურებელთა მქუხარე ოვაციების თანხლებით ისევ დაეუფლა რეკორდსმენის წოდებას.

ჯონჯოლიანმა კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი დაამყარა — მოსკოვში 1952 წლის ნოემბერში. ეს იყო ისევ გიტი ადგილიდან, ამჯერად 4 კილომეტრზე. ო. ჯონჯოლიანს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

აქვე უნდა გავიხსენოთ მისი დიდებული გამოსვლები ტრადიციულ (სამწუხაროდ, მერე მივიწყებულ) რბოლაში „თბილისის რკალი". აქ იგი ხუთჯერ ჩაება ასპარეზობაში და ოთხჯერ გაიმარჯვა.

...1956 წელს ო. ჯონჯოლიანმა 29 წლის ასაკში უკანასკნელად იასპარეზა მოსკოვში, ეგრეთ წოდებულ „ნორჩი პიონერების" ტრეკზე, მერე მწვრთნელობას მიჰყო ხელი — სპორტსაზოგადოება „ქართველი" დაიწყო მუშაობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ავარჯიშებდა. ბევრი ნიჭიერი ოსტატი აღზარდა.

— იქნებ ჩვენს რედაქციაში გამოგზავნილი წერილის ავტორებიც გახსოვთ?

— დღესაც მამაშვილური ურთიერთობა მაქვს მათთან. ხუთივე ნიჭიერი ველოსიპედისტი იყო და, თუ არ ვცდები, ყველამ პირველ თანრიგს მიაღწია. სხვათა შორის, ელიზბარაშვილები ორი დანი იყვნენ — ანეტა და ზამირა. ისინი საქართველოს ჩემპიონები გახდნენ გუნდურ რბოლაში. რაც შეეხება სლავა გვაზავას (სხვათა შორის იგი ჩემი თანასოფლელია), მას მართლაც საუკეთესო მონაცემები ჰქონდა, ასე ვთქვათ, მუდამ „ტემპში მუშაობდა", განსაკუთრებით ძლიერი იყო საშუალო მანძილზე რბოლაში. სამწუხაროდ, სლავა არ გაჰყვა ველოსპორტს ბოლომდე.

...თბილისის ძველი ველოტრეკის ბეტონის საფარს „დღესაც ეტყობა" ველოსიპედის ორი ნაკვალევი — ერთი მათგანი ეკუთვნის ახალბედა აბაშელ სპორტსმენს ოთარ ჯონჯოლიანს, მეორე კი.. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სამგზის საკავშირო რეკორდსმენს, სპორტის ოსტატ ოთარ ჯონჯოლიანს, „ველიკოს" სახელით რომ იცნობდნენ სპორტულ სამყაროში.

ოთარ ნოზაძე

საქართველოს პირადი ჩემპიონატი

ყველგან ბათქაბუთქი ისმის, მსროლელებს სროლა მოენატრათ

შეჯიბრებებს მონატრებულ საქართველოს მსროლელებს ორწლიანი „დუმილის" შემდეგ, როგორც იქნა, მიეცათ რესპუბლიკის პირად ჩემპიონატში ძალების გამოცდის საშუალება და მათ, ვინც დედაქალაქში ჩამოსვლა მოახერხა, „შევარდენისა" და არმიის სპორტკლუბის დახურულ ბაზებზე გაარკვიეს ურთიერთობა.

— განაცდურმა ორმა სეზონმა საგრძნობლად დააზარალა სპორტსმენები — გვითხრა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა გივი ბოსტოღანაშვილმა — უმძიმესმა ვითარებამ, რომელიც რესპუბლიკაში შეიქმნა და რამაც ჩვენი საუკეთესო ინვენტარი თითქმის მთლიანად შეიწირა, ბევრი ჩამოაშორა სპორტის ამ სახეობას. ჩემპიონატის მონაწილენი პერიფერიებიდან უიარაღოდ ჩამოვიდნენ, ამიტომაც სტუმარ-მასპინძლები ერთი და იმავე შაშხანით თუ პისტოლეტით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ცხადია, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ პროგრამის ხუთი ოლიმპიური ვარჯიშიდან ზოგიერთში II და III პრიზიორთა მაჩვენებლები მოსალოდნელზე ბევრად დაბალი იყო. პნევმატური შაშხანით 60 გასროლაში ალბათ გაცილებით მაღალი იქნებოდა შედეგები, საქართველოს ნაკრების წევრს არტემ ძამოევს, ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, თავი რომ არ აერიდებინა შეჯიბრებისთვის. (სამწუხაროა, რომ ფედერაციამ არაფერი იცის თავისი სპორტსმენის შესახებ, იქნებ ისიც უცხოეთშია წასული. რედ.)

ცეცხლის ხაზზე ვერც ნინო სალუქვაძე ვიხილეთ, მაგრამ მას საპატიო მიზეზი ჰქონდა: იგი მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე ასპარეზობდა, სხვებმა კი, ვინც რესპუბლიკურ ჩემპიონატში ჩაება, უმეტესად დამაკმაყოფილებელ შედეგებს მიაღწიეს. განსაკუთრებით გამოვყოფ ქუთაისელ ილიკო ჩაგანავას, პნევმატური შაშხანით მოძრავ ფარებზე 60 გასროლაში გამარჯვებულს. მისი შედეგი — 572 ქულა საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა.

პნევმატური შაშხანით 40 გასროლა ოსტატური მაჩვენებლით დაამთავრა თბილისელმა დიანა ავეტისიანმა.

ტურნირს მეორე ამოცანაც ჰქონდა — შეერჩია რესპუბლიკური ნაკრების კანდიდატები, რომელთაგან საუკეთესონი ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. ეს შეჯიბრება 1-12 აგვისტოს ჩეხეთში უნდა ჩატარდეს. ფედერაციამ შეკრებაზე დატოვა 13 მსროლელი. ისინი გარკვეულ ციკლს გაივლიან — ყოველი ხუთი დღის შემდეგ საკონტროლო სროლებს გამართავენ. კონტინენტის ჩემპიონატზე წავლენ ისინი, ვინც შეასრულებს საკონტროლო ნორმატივს. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება სალუქვაძეს — მისთვის ადგილი დაჯავშნილია.

ტექნიკური შედეგები:

ქალები. პნევმატური პისტოლეტი. 40 გასროლა. 1. მეგი ზუბულაშვილი (თბილისი, სპორტკლუბი „ჯიქი") — 376 ქულა, 2. ნინო უჩაძე (ქუთაისი, „ჯიქი") — 371, 3. მარიკა ბიბილური (თბილისი, „შევარდენი") — 369. **პნევმატური შაშხანა. 40 გასროლა.** 1. დიანა ავეტისიანი („შევარდენი") — 382 ქულა, 2. თამილა ასათიანი — 374, 3. ხათუნა ბერიკაშვილი (ორივე — თბილისი, თავდაცვის სამინისტროს სპორტკლუბი) — 372.

ვაჟები. პნევმატური პისტოლეტი. 60 გასროლა. 1. ნიკო გაბუნია (თბილისი, „მართვე") — 569,2. მამუკა ბოსტოღანაშვილი (თბილისი, „ჯიქი") — 559, 3. დავით ნადირაშვილი (თბილისი, თავდაცვის სამინისტროს სპორტკლუბი) — 359;

პნევმატური შაშხანა. 60 გასროლა. 1. თენგიზ ნადარაია (ფოთი, „შევარდენი") — 560, 2. დათო ახვლედიანი — 502, 3. თენგიზ ონეზაშვილი (ორივე — თბილისი, „მართვე") — 479.

პნევმატური შაშხანა. მოძრავ სამიზნეზე. 60 გასროლა. 1. ილიკო ჩაგანავა („დინამო") — 572, 2. დათო აფციაური (თბილისი, „ჯიქი") — 548, 3. სერგო ზერხეულიძე (თბილისი, „დინამო") — 538.

იქნებ კვლავ გავიგონოთ შეძახილები:

„კო-ლხე-თი"!, „სა-მე-გრე-ლო"!, „ეგ-რი-სი"!, „სქუ-რი"!

სამეგრელოში ძალიან უყვართ სპორტი, განსაკუთრებული პოპულარობით კი ფეხბურთი სარგებლობს. აქაური ქალაქების და სოფლების თითქმის ყველა უბანშია სათამაშო მინდვრები, სადაც იმართებოდა საფეხბურთო შეჯიბრებები — უბანი უბანს ეპაექრებოდა, სოფელი—სოფელს, რაიონი — რაიონს, სახალხო დღესასწაულებზე ეწყობოდა შეხვედრები ცოლიანებსა და უცოლოებს შორის, იყო ყიჟინა, ტაში, მხიარულება...

ამჟამინდელ მძიმე ვითარებას და მოძალებულ გასაჭირს, ცხადია, ვერც სპორტი გადაურჩებოდა, შეწყვიტეს არსებობა რეგიონში ცნობილმა სპორტულმა კლუბებმა: „კოლხეთმა", „სამეგრელომ", „ეგრისმა", „სქურმა", „თუთარჩელამ", „ზღვაიამ", „შევარდენმა"... მათ დღეს ისე უჭირთ, ვეჭვობ, საგაისო ჩემპიონატშიც შეძლონ მონაწილეობა. პროფესიულ კლუბებს თავი დავანებოთ, თვით სოფლის სპორტულ მინდვრებზეც ძველებურად აღარ იმართება შეჯიბრებები, მოედნების უმეტესობაზე მუხლამდე ბალახი ბიბინებს, ბევრგან მიწა გადახნეს და სიმინდი დათესეს, შემოკავებული მავთულბადე, რკინის ბოძები დაიტაცეს. გულდასაწყვეტია, რომ არავინ გამოჩნდა ამ ხელმრუდე ადამიანების გამჩერებელი. არადა, ეს ყველაფერი ღამე, ჩუმად, სიბნელეში როდი კეთდებოდა — პირიქით, დღისით, მზისით, მოურიდებლად. ყველაზე გულსატკენი და დასაფიქრებელი ის არის, რომ ხალხი თანდათანობით კარგავს ჩვეულ ინტერესებს — გუშინ თუ ფეხბურთის ბილეთისთვის უკანასკნელ მანეთს მოიჩხრეკდა, დღეს სტადიონისკენ მიხედვაც არ უნდა. არც გაემტყუნება, იმდენი სხვა პრობლემა დაგროვდა...

და დღეს სამეგრელოს ბევრ სტადიონზე სიჩუმეა, სიჩუმე, რომელიც ტანში მზარავს. არადა, ბევრია ჭეშმარიტი გულშემატკივარიც, რომელიც კვლავ მზად არის გაიღოს თავისი წვლილი სპორტული ტრადიციების ასაღორძინებლად.

ყოველივე ის, რაზეც ვილაპარაკე, არც გამახსენდებოდა სხვა ათას საყოფაცხოვრებო პრობლემით შეჭირვებულს, რომ არა ერთი თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საინტერესო ღონისძიება: ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში გაიმართა ამ სოფლის მკვიდრის რამაზ ხვიჩავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ფეხბურთელთა მატჩი. რამაზი ჩხოროწყუს „სამეგრელოს", ხაზუმეს „თუთარჩელას" შემადგენლობაში გამოდიოდა, ვარჯიშობდა ხობის „კოლხეთშიც". იმ დღეს ხობის „კოლხეთი" სპორტსკოლის ახალგაზრდობით იყო წარმოდგენილი, „სამეგრელოს" შემადგენლობაში კი ვეტერანებიც თამაშობდნენ და ახალგაზრდებიც. მთავარი, რაც ამ შეხვედრაზე ვიხილე, იყო დიდი სტრვილი ტრადიციების აღდგენისა — ყველას ახსოვს ჩხოროწყუელთა და ხობელთა სპორტული მეტოქეობა, არაერთი საინტერესო მატჩი.

საჯიჯაოს სოფლის სტადიონის კვალობაზე ბევრი მაყურებელი მოვიდა. იგრძნობოდა, სურდათ ძველებური, ყიჟინიანი თამაშის ნახვა, მაგრამ განწყობა აღარ იყო ძველებური.

იქნებ 24 წლის ბიჭის ხსოვნისადმი მიძღვნილმა მატჩმა ყინული გაალღვოს და კვლავ გავიგონოთ შეძახილები: „კო-ლხე-თი"! „სა-მეგრე-ლო"! „ეგ-რი-სი"! „სქუ-რი"!

ნუგზარ ჟვანია

ევროპის ზონა

I ჯგუფი. პორტუგალიისა და მალტის გუნდების შეხვედრაში, სადაც მასპინძელთა როლში პორტუგალიელები გამოდიოდნენ, მათ იოლად დაამარცხეს მეტოქე — 4-0.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	7	5	2	0	18—4	12
იტალია	7	4	2	1	15—6	10
პორტუგალია	6	3	2	1	12—4	8
შოტლანდია	7	3	2	2	10—9	8
მალტა	9	1	1	7	3—21	3
ესტონეთი	6	0	1	5	1—15	1

III ჯგუფი. ლიტვა — ირლანდია 0-1. ბურთი 38-ე წუთზე გაიტანა სტონტონმა.

ირლანდია	9	6	3	0	15—2	15
ესპანეთი	9	5	3	1	18—2	13
დანია	8	4	4	0	9—1	12
ჩრ. ირლანდია	9	4	2	3	11—11	10
ლიტვა	10	2	3	5	8—15	7
ლატვია	11	0	5	6	4—19	5
ალბანეთი	10	1	2	7	5—20	4

IV ჯგუფი. ფარერის კუნძულები — ჩეხეთ-სლოვაკეთი 0-3. ბურთები გაიტანეს ჰაშეკმა და პოსტულკამ (2).

ბელგია	8	7	0	1	15—3	14
რუმინეთი	7	4	1	2	21—10	9
ჩეხ. და სლოვ.	7	3	3	1	16—7	9
უელსი	7	4	1	2	14—8	9
კვიპროსი	8	2	1	5	8—13	5
ფარერის კ.	9	0	0	9	1—34	0

V ჯგუფი. ისლანდია — უნგრეთი 2-0. ბურთები გაიტანეს სვერისონმა და გუდიონსენმა.

რუსეთი	6	4	2	0	12—2	10
საბერძნეთი	6	4	2	0	6—1	10
ისლანდია	7	2	2	3	6—6	6
უნგრეთი	6	1	1	4	4—8	3
ლუქსემბურგი	5	0	1	4	1—12	1

VI ჯგუფი. ფინეთი — ისრაელი — 0-0.

შვეცია	6	5	0	1	13—3	10
საფრანგეთი	6	5	0	1	11—4	10
ბულგარეთი	7	4	1	2	12—7	9
ავსტრია	6	2	0	4	9—10	4
ფინეთი	6	1	1	4	4—9	3
ისრაელი	7	0	2	5	5—21	2

აზიის ზონა

ერაყი — იემენი 3-0. ჩინეთი — იორდანია 4-1.

ერაყი	6	5	1	0	23—2	11
ჩინეთი	6	4	0	2	15—3	8
იემენი	7	3	2	2	12—12	8
იორდანია	7	1	3	3	7—15	5
პაკისტანი	6	0	0	6	2—27	0

ნორჩები — ხეობას

კომერციული ტურნირები ჩვენშიც იკრებს ძალას. ამის დასტურად გამოდგება ახლახან თბილისში დამთავრებული 1980 წელს დაბადებულ ნორჩ კალათბურთელთა შეჯიბრებაც, რომელიც შალვა დიასამიძის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში ხუთი გუნდი მონაწილეობდა. პირველი ადგილი „მართვე II"-მ დაიკავა (მწვრთნელი გივი ჩინჩალაძე), მეორე — „მართვე I"-მა, მესამე — „მთაწმინდამ".

საპრიზო ადგილებზე გასულმა გუნდებმა კუთვნილი ფულადი ჯილდოები (60 ათასი კუპონი) გადარიცხეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანგარიშზე.

„ანტვერპენამდე" ძნელი გზა იყო

ალექს ჩერნიატინსკის საფეხბურთო ზიგზაგები

ეს წელი ბელგიური ფეხბურთის ერთგვარ ბენეფისად შეიძლება ჩაითვალოს. ეროვნულმა ნაკრებმა პრაქტიკულად გაიაღდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, ანტვერპენის ამავე სახელწოდების კლუბმა კი ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში იასპარეზა. ორივე გუნდის შემადგენლობაში გამოირჩევა ალექს ჩერნიატინსკი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. მისი სახელი ბოლო ათი წლის მანძილზე ერთგვარ დავიწყებას მიეცა. ამ ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად გთავაზობთ ფრაგმენტებს იმ ინტერვიუებიდან, რომლებიც წელს ამ ცნობილმა ფეხბურთელმა ევროპის სხვადასხვა სპორტულ გამოცემებს მისცა.

● **1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ეროვნულ ნაკრებს დიდი ხნით გამოეთხოვეთ. განშორება ათ წელს გაგრძელდა. რა იყო თქვენი გაუჩინარების მიზეზი?**

— ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩემი თამაშის დონე ისე დაქვეითდა, რომ აღარ შეესაბამებოდა ნაკრების მაღალ მოთხოვნებს. დღევანდელი გადასახედიდან კრიტიკულად ვაფასებ 1982 წელს მოთამაშე ალექს ჩერნიატინსკის. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ასაკისთვის ჩვეულ თვითკმაყოფილებას მივეცი. მაგრამ საკმარისი იყო რამდენიმე მატჩში სუსტად მეთამაშა, რომ ფსიქოლოგიურ სტრესში ჩავვარდი. დეპრესიიდან გამოსვლას დიდი ხანი მოვანდომე. ამას დაემატა ტრავმების სერია, რომელიც ჩემი განუწყვეტელი მეგზური გახდა ბოლო ათი წლის მანძილზე. ამ ფაქტორთა ერთობლიობა კი გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩემი შესაძლებლობების ნახევარსაც ვეღარ ვაჩვენებდი. ბუნებრივია, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმაც გადამივიწყეს. ფორტუნამ დიდი ხნით შემაქცია ზურგი და მხოლოდ „ანტვერპენში" ჩარიცხვის შემდეგ დაიწყო ჩემი ხელახალი აღმასვლა. მე ვირწმუნე ჩემი ძალა და დავიბრუნე პირვანდელი სახე. ჩემი წარმატებები არც ნაკრების მწვრთნელს — პოლ ვან ჰიმსტს გამოპარვია და დამაბრუნა კიდეც ეროვნულ ნაკრებში.

● **თქვენი პარტნიორები სხვადასხვა დროს იყვნენ კლასენი და ვან დე ლინდენი, დღეს კი თქვენს გვერდით ფრენსის სევერეინსია. როგორ დაახასიათებდით მათ?**

— სამივე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ გამოვყოფდი ფრენსის სევერეინსს, ჩემს დღევანდელ პარტნიორს. მოედანზე ჩვენ ურთმანეთისა უსიტყვოდ გვესმის. ფრენსისი უნივერსალური მოთამაშეა, სწრაფად იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს, ჩინებულად აზროვნებს. ამიტომ, ბუნებრივია, ერთად თამაშით დიდ სიამოვნებას ვიღებთ. რაც შეეხება კლასენს, მას ზედმეტი ინდივიდუალურობა უშლიდა ხელს, ვან დე ლინდენი კი პირიქით — მეტისმეტად კოლექტიური თამაშით გამოირჩეოდა, რაც მეტოქის კარის დალაშქვრისას ბევრ დაბრკოლებას უქმნიდა. ყველა ხელსაყრელი პოზიციიდან მე მეძებდა და ამის გამო საუკეთესო მომენტებსაც კარგავდა.

● **დაგვიხასიათეთ მცველი, რომლის წინააღმდეგაც თქვენ არ ისურვებდით თამაშს.**

— ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მცველის განსაკუთრებით მეშინოდეს. ჩემი აზრით, ყოველმხრივ დაოსტატებული ფეხბურთელი არ არსებობს, შესაბამისად, ნებისმიერ მცველსაც თავისი სისუსტეები აქვს. თავდამსხმელის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგის ნაკლი აღმოაჩინოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მე, მაგალითად, თუ ბელგიურ პრესას დავუჯერებთ, მოედნის კარგ ხედვასთან ერთად საგოლე პოზიციების კარგად შერჩევის ალღოთიც ვარ დაჯილდოებული, ამიტომ ნებისმიერი მცველის შეცდომაში შეყვანა ჩემთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

● **1985 წელს თქვენ დატოვეთ „ანდერლეხტი" და „სტანდარდში" გადახვედით. გაგვანდეთ თქვენი მაშინდელი გადაწყვეტილების მიზეზი.**

— „ანდერლეხტში" ნახევარმცველის ფუნქციას ვასრულებდი, ამ ადგილზე კი გუნდში დიდი კონკურენცია იყო. მეტოქეობას თვით ნაკრების წევრი ვან დერ ბერგი მიწევდა, იმ დროისთვის იგი ჩემზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და იძულებული გავხდი „ანდერლეხტი" დამეტოვებინა. ამ მომენტიდან ჩემი, როგორც ფეხბურთელის პროფესიული დონის დაცემა დაიწყო. „სტანდარდშიც" ვერ მოვიკიდე ფეხი, ოღონდ სხვა მიზეზის გამო — ტრავმებმა შემიშალა ხელი. შემდეგ დამეწყო დეპრესიები, რომელიც „ანტვერპენში" ჩარიცხვამდე გაგრძელდა...

სწორედ ამ პროვინციულ გუნდში დაიწყო ახალი ერა ალექს ჩერნიატინსკის მოულოდნელობებით აღსავსე საფეხბურთო კარიერაში.

მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

● **დაიწყო** ამერიკის ქვეყნების თასის ტრადიციული გათამაშება, შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობენ ჩრდილოეთ ამერიკის გუნდებიც — აშშ, მექსიკა. სულ იასპარეზებს 12 ნაკრები. პირველ შეხვედრათა შედეგებია: ეკვადორი — ვენესუელა 6-1, ურუგვაი — აშშ 1-0, კოლუმბია — მექსიკა 2-1.

● **გეტებორგი.** შვეციის თასს დაეუფლა „დეგერფორსი", რომელმაც ფინალში მოუგო „ლანდსკრონა ბოისს" — 3-0.

● **ვენის** „აუსტრიამ" ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში ანგარიშით 4-0 დაამარცხა „რაპიდი" და პირველი ადგილი დაიკავა: ვენელებმა და ზალცბურგის „აუსტრიამ" ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, მაგრამ ვენელებს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ.

● **მარსელი.** ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს, საფრანგეთის ამ ქალაქის „ოლიმპიკს" ახალი მწვრთნელი ჰყავს: ბელგიელი რაიმონ გუტალსის ნაცვლად დაინიშნა 59 წლის მარკ გურიე.

ინფორმაცია

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ფრენბურთელმა ვაჟებმა მსოფლიო ლიგის პირველობის („ა" ჯგუფი) მატჩი მოუგეს აშშ-ის ნაკრებს — 3:0 (15:9, 15:9, 15:1). „ბ" ჯგუფის შეხვედრა ჩინეთისა და ფინეთის გუნდებს შორის პეკინში გაიმართა. აქაც მასპინძლებმა იმარჯვეს სამ პარტიაში.

● **ბარსელონა.** აქ მიმდინარე მესტენდურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიელმა მსროლელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ოსტატობა. სასანგრო სროლაში ოქროს მედალი მოიპოვა მარკო ვენტურინიმ. მისი შედეგი — 148 ქულა (150-იდან) მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. მეორე ადგილი გამარჯვებულის თანამემამულეს ჯოვანი პელიელოს ხვდა — 147; ასეთივე შედეგი აღმოაჩნდა მესამე ადგილზე გასულ ესპანელ ხოსე ბლადასს. იტალიელებმა გუნდური გამარჯვებაც მოიპოვეს — 366 ქულა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

● **პარიზი.** საფრანგეთში „ტურ დე ფრანსის" წინ მინი-რბოლები ეწყობა. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებას დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი იტალიელი მაურიციო ფონდრიესტი. მეორეა ფრანგი დომინიკ არნო, რომელიც ლიდერს მხოლოდ 3 წამით ჩამორჩება.

* * *

ოჯახის მონახულება არჩია

მსოფლიო ექსჩემპიონის მიხეილ ტალის ხსოვნის ბლიცტურნირში (მოსკოვი, 26-29 ივნისი) მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს გარი კასპაროვსაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ მან შეცვალა ადრინდელი გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ამ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებს — განზრახული აქვს ფინეთში მოინახულოს მეუღლე და გოგონა, შემდეგ კი შვეიცარიაში გააგრძელოს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე შორტთან მატჩისთვის მზადება.

სექტემბერში დაიწყება კიდევ ერთი მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის, რომელიც ფიდეს ეგიდით ეწყობა და რომლის მთავარი მოქმედი პირნი იქნებიან ანატოლი კარპოვი და ჰოლანდიელი იან ტიმანი. ამ შეხვედრის საპრიზო ფონდი — 2,8 მილიონი დოლარი 300 ათასი დოლარით აჭარბებს კასპაროვ-შორტის მატჩის ფონდს.

„ჩიკაგოს" „ჰეთ-ტრიკი", ჯორდანის ტრიუმფი, ჯონსონის შიდს-სკანდალი

ჩიკაგო. კალათბურთის ეროვნული ლიგის ფინალური სერიის მეოთხე შეხვედრაში „ჩიკაგო ბულზის" ლიდერი მაიკლ ჯორდანი მართლაც შეუდარებელი იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა „ფინიქს სანსის" დამარცხებაში — 111:105. ჯორდანმა თავის კლუბს, ფაქტობრივად, ქულების ნახევარი შესძინა — 55, ამასთან, უკანასკნელი სამქულიანი ტყორცნა მატჩის დამთავრებამდე 13 წამით ადრე შეასრულა. ლიდერის მაჩვენებლები ამ შეხვედრაში მართლაც უნიკალურია: 21 ზუსტი ტყორცნა თამაშის პროცესში (37-იდან), 13 შეუცდომლად შესრულებული ჯარიმა (16-იდან), რვაჯერ დაეუფლა იგი ბურთს ფარქვეშ და ოთხი შედეგიანი გადაცემაც შეასრულა.

ნბა-ს სტატისტიკოსების განცხადებით, ჯორდანის შედეგი „პლეი-ოფის" ფინალური სერიებისთვის უნიკალურია. მასზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა 60-იანი წლების ვარსკვლავს ელჯინ ბეილს (1961 წელს) — 61 ქულა, ხოლო ჯორდანის მსგავს შედეგს 55 ქულას — მიაღწია რიკ ბერიმ (1967 წელი).

ამ გამარჯვების შემდეგ სერიის ანგარიში გახდა 3:1 „ჩიკაგოს" სასარგებლოდ, მეხუთე მატჩი, რომელიც ასევე ჩიკაგოში გაიმართა, მოიგო „ფინიქსმა" და სხვაობა ანგარიშში მინიმუმამდე შეამცირა. მერე გუნდებმა ფინიქსში გადაინაცვლეს იმ ანგარიშით, რომ ბოლო ორ მატჩს სწორედ იქ ჩაატარებდნენ. ეს შეხვედრები 20 და 23 ივნისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ბოლო ორთაბრძოლის ჩატარება საჭირო აღარ გახდა. „ჩიკაგომ" მოიგო მეექვსე მატჩი მძაფრ ბრძოლაში 99:98 და სერია თავის სასარგებლოდ დაამთავრა (4:2). ჯორდანის კლუბი მესამეა ნბა-ს ისტორიაში („მინეაპოლის ლეიკერსისა" და „ბოსტონ სელტიქსის" შემდეგ), რომელმაც სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

ამასობაში მიჩიგანის შტატის ქალაქ გრენდ რეპიდსში აგორდა სკანდალი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ნბა-სთან და მის ერთ-ერთ სუპერვარსკვლავ მეჯიკ ჯონსონთან. ბოლოს და ბოლოს გამჟღავნდა იმ ქალის ვინაობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჯონსონმა მას შიდსი შეჰყარა.

უკანასკნელ დრომდე 32 წლის ანალიტიკოსი ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებრივი ცენტრიდან უიმერ მოორი მალავდა სახელს, რათა თავისი 5 წლის გოგონასთვის არ მიეყენებინა მორალური ტრავმა. მაგრამ ჯონსონის ადვოკატთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ დაზარალებულის გვარი გამჟღავნდა.

უიმერ მოორი, ამერიკული გაზეთების ცნობით, ცნობილი ფეხბურთელის ჩარლზ ბაჯეტ-უმცროსის ყოფილი მეუღლეა. ექიმებმა მას შიდსის ვირუსი აღმოუჩინეს 1991 წლის ივნისში, ჯონსონთან ინტიმური კავშირის ერთი წლის თავზე. მეჯიკი არ უარყოფს მოორთან კავშირს, მაგრამ აცხადებს, რომ თავისი დაავადების შესახებ მან 1991 წლის შემოდგომაზე გაიგო, ასე რომ, ქალის გაფრთხილება არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო.

ასეა თუ ისე, საქმის ძიება გრძელდება და დაზარალებული მხარე ჯონსონისგან კომპენსაციის სახით 2 მილიონ დოლარს ითხოვს.

მათე კირვალიძე

სექსუალური მანიაკი ჩემპიონის მანტიაში

ამ დღეებში „ლელოში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე არაპოპულარულ სპორტსმენად გამოცხადდა მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი. სპორტის მოყვარულთა პოზიცია ამ საკითხში გასაგებია: ტაისონი დღეს სასჯელს იხდის.

ხშირად გვეკითხებიან მკითხველები: მაინც რა მოხდა იმ საბედისწერო დღეს ინდიანაპოლისში ისეთი, რამაც ასე უკუღმართად წარმართა ერთ დროს მსოფლიოს ყველაზე პოპულარული სპორტსმენის ცხოვრება? აქამდე ჩვენ მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია მოგვაჩნდა და ამით ვიფარგლებოდით. კერძოდ, ექსჩემპიონმა გააუპატიურა სილამაზის კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე — როზი ჯონსი და ამისთვის სამართლიანად დაისაჯა. დღეს საშუალება გვაქვს უფრო დეტალურად აღვადგინოთ იმ ორი ტრაგიკული დღის მოვლენები, რომლებმაც ხაზი გადაუსვა ტაისონის ბედნიერ ცხოვრებას. ცნობები, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ, ეფუძნება ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედის“, გაზეთების: „ატლანტა ჯორნელ კონსტიტუშნისა“ (აშშ) და „ნიუს ოფ ზი უორლდის“ (ინგლისი) მონაცემებს.

1991 წლის 17 ივლისი. ტაისონი ჩავიდა ინდიანაპოლისში ჩარლზ უილიამსის, „ინდიანა ბლექ ექსპოს“ პრეზიდენტის მიწვევით. მასთან ერთად „აფრო-ამერიკული კულტურის“ დღეებზე მიპატიჟებულნი აღმოჩნდნენ: პასტორი ჯესი ჯეკსონი, მომღერალი ჯონი ჯილი, მსახიობი დენი გლავერი, კალათბურთელთა პროფესიული კლუბის „ჩიკაგო ბულზის“ სპონსორი კრეიგ ხოჯესი. ინდიანაპოლისში ჩასვლისთანავე ტაისონი გატარდა ექსპოს საპატიო სტუმართა სიაში და თავის მცველთან ჯ. ედვარდსთან ერთად ესტუმრა რეპ-მუსიკის ვარსკვლავს ენჯის. ამ დროისათვის ექსჩემპიონის ქცევაში კანონსაწინააღმდეგო არაფერი შეინიშნებოდა.

18 ივლისი. ტაისონმა და ჯონი ჯილმა სასტუმრო „იუმნი სევერინში“ მოინახულეს „მისს ბლექ ამერიკას“ („შავი ამერიკის“) კონკურსის მონაწილე ლამაზმანები. აქ გამოვლინდა, ოღონდ ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ, ტაისონის აღვირახსნილი ხასიათი, რომელიც თავდაპირველად ქალებთან შეურაცხმყოფელი ბლლარძუნით გამოიხატა. ამ ხანმოკლე ვიზიტის შედეგად კონკურსის ორგანიზატორმა მორის ანდერსონმა 60-ფურცლიანი დოკუმენტი — საჩივარი გადასცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ მოკრივემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კონკურსის ათ მონაწილეს.

სასტუმროდან ტაისონი წავიდა გამოფენის გახსნაზე, სადაც ინდიანაპოლისის მერმა მას, როგორც საპატიო მოქალაქეს, ქალაქის გასაღები გადასცა. სწორედ აქ შეხვდა იგი თავის მომავალ მსხვერპლს როზი ჯონსს. მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა ჯერჯერობით ნორმალური და ცივილიზებული ქცევის ფარგლებს არ სცილდება. ესაა ოღონდ, რომ ტაისონი ჰარბი კომპლიმენტებით ამკობს თავის რჩეულს.

საღამოთი ტაისონი და როზი ჯონსი ჯილის კონცერტზე იყვნენ. იქიდან კი „კენტერბერის“ სასტუმროს ნომერ 606-ში ამოყვეს თავი: მაიკი იქ ცხოვრობდა.

დილის 4 საათსა და 45 წუთზე ტაისონმა სასწრაფოდ დატოვა ქალაქი. 6 საათისთვის იგი კლივლენდისკენ მიმავალ თვითმფრინავში იჯდა. არადა, ინდიანაპოლისში მას კიდევ ორი დღე უნდა დაეყო. სასტუმროს ნომერში, თითქოს განგებ, ნივთიერი მტკიცების სახით დატოვა აწეწილი საწოლი და გაბინძურებული საცვალი. ძალადობის ნიშნები აშკარა იყო. თუმცა კონკურსის ორმა მონაწილემ — ტონია ტრეილერმა და ნორმა დოლმმა გარკვეული ალიბი შეუქმნეს ტაისონს: ამა და ამ დროს იგი ჩვენთან იყო ნომერშიო. მაგრამ სიყალბე მალე გამომჟღავნდა.

19 ივლისი. მთელმა დღემ ამ ინციდენტის გარშემო მსჯელობასა და მითქმა-მოთქმაში გაიარა. ავანსცენაზე შემოდის როზი ჯონსის მამა და მაშინვე იწყება ლაპარაკი ტაისონის მილიონებზე. საღამოსთვის ცნობილი ხდება დაზარალებულთა პირობა: ისინი კომპენსაციის სახით მოკრივისგან ითხოვენ 100 მილიონ დოლარს, მაგრამ ინციდენტი უკვე გახმაურდა და პრესამ აიტაცა იგი.

20 ივლისი. პოლიციამ აშკარად დაიგვიანა საქმის გამოძიება, თუმცა ამ დროისთვის როზი ჯონსს უკვე აღებული ჰქონდა სამედიცინო ცნობა „მეთოდის ჰოსპითელის“ საავადმყოფოდან, რაც ერთგვარად ამსუბუქებდა მის მდგომარეობას. მერე და მერე გამოჩნდნენ მოწმეები ორივე მხრიდან, მაგრამ ამ ფაქტის უარყოფა, შელამაზება ან დამძიმება უკვე ძნელი საქმე იყო...

გოჩა ჩადუნელი

მტერი არასოდეს ჰყოლია — ბუნებით კეთილსა და გამრჯეს არავისთან არაფერი ჰქონდა გასაყოფი. თავდავიწყებით უყვარდა ოჯახი, უყვარდა საქმე და ბავშვები — მათს ჯანმრთელობაზე ზრუნვა ხომ მისი პროფესია იყო — ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისის 115-ე საშუალო სკოლაში დაიწყო ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობა.

სპორტი ბავშვობიდან იზიდავდა. განსაკუთრებით მძლეოსნობა იტაცებდა. საკმაოდ მაღალი შედეგებიც ჰქონდა სიგრძეზე ხტომაში — იყო საქართველოს ჯერ მოსწავლეთა, მერე მოზრდილთა ნაკრები გუნდების წევრი, რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი, საკავშირო სპარტაკიადისა და ჩემპიონატების პრიზიორი, სპორტის ოსტატი.

ბოლო ხუთი წელი საქმიანობდა იქ, სადაც სპორტსმენად ჩამოყალიბდა — თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში. ნიჭიერი, ალღოიანი მწვრთნელ-მეთოდისტი ახალგაზრდულ ენერგიასა და ცოდნას არ იშურებდა შეგირდთა დასაოსტატებლად, ამიტომაც უყვარდათ და მიაგებდნენ პატივს მოსწავლეებიც და კოლეგებიც.

ვინ იცის, კიდევ რამდენ კარგს გააკეთებდა გოჩა ჩადუნელი, ასე მოულოდნელად და ტრაგიკულად რომ არ შეწყვეტილიყო მისი სიცოცხლე 32 წლის ასაკში.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი აღსაზრდელების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა.

ისიდორე მჭედლიძე

ჩვენი სპორტის სპეციალისტთა რიგებს კიდევ ერთი ალალი კაცი გამოაკლდა — გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ისიდორე მჭედლიძე, რომელმაც ამ ქვეყნად გატარებული 57 წლიდან ოთხ ათეულზე მეტი საჭიდაო ხალიჩაზე გაატარა — ჯერ როგორც სპორტსმენმა, მერე — როგორც მწვრთნელმა.

ი. მჭედლიძე ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში დაიბადა და იქვე ეზიარა ჭიდაობას. აქ შეითვისა ქართული ჭიდაობის ის ფანდები, რომლებსაც შემდეგ შესანიშნავად იყენებდა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში — იგი ხომ სამივე სახეობაში იყო სპორტის ოსტატი.

ბევრჯერ გაუხარებია გამარჯვებებით გულშემატკივრები, ბევრჯერ მოუპოვებია ჩემპიონობაც. ჭიდაობის სიყვარული ვერც გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლამ და შეძენილმა პროფესიამ გაუნელა — სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა ახალგაზრდა მოჭიდავეების დაოსტატებას. ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ჯერ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“, შემდეგ სპორტსაზოგადოება „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებ გუნდებთან სამბოში და მრავალი ახალბედა ფალავნის წარმატებებში შეიტანა თავისი წვლილი.

ნაადრევად წავიდა ჩვენგან ჩინებული პედაგოგი და მწვრთნელი, ღირსეული მეოჯახე და მოქალაქე, რომლის ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება მისი მეგობარ-ნათესავების და ახლობლების გულში.

სპორტსაზოგადოება „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭო.

ველოსპორტის ამბები

ვინ დაამხობს ფრანჩესკო მოზერს?

1984 წლის 23 იანვარს მაღალმთიან მეხიკოში (ზღვის დონიდან 2240 მ.) ცნობილმა იტალიელმა ველოსიპედისტმა ფრანჩესკო მოზერმა ერთსაათიან რბოლაში 51 კილომეტრი და 151 მეტრი დაფარა და, როგორც იტყვიან, დასაბამი დაუდო ყველაზე პრესტიჟულ მსოფლიო რეკორდს ველოსპორტში. თითქმის ათი წლის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის თავად მოზერიც) ცდილობდნენ რეკორდის გაუმჯობესებას, მაგრამ ამაოდ — იგი ურყევად იდგა და, ამის გამო, ლეგენდარული მსოფლიო რეკორდის სტატუსი მიიღო.

სულ ახლახან რეკორდს კიდევ ერთი „მტერი“ გამოუჩნდა. ეს გახლავთ ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში, ინგლისელი კრის ბორდმენი, რომელსაც სპეციალისტები არცთუ უსაფუძვლოდ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ბორდმენმა და მისმა მწვრთნელმა ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით მსოფლიოს მრავალი ტრეკი მოინახულეს და არჩევანი საფრანგეთის ქალაქ ბორდოზე შეაჩერეს, რომლის ველოსტადიონს, როგორც ბოლო დროს ამბობენ, ყველაზე „სწრაფი საფარი“ აქვს.

ბორდოს ველოტრეკის ეს უპირატესობა შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს, თუმცა ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ბორდო მეხიკოსგან განსხვავებით დაბლობზეა გაშენებული, რაც რეკორდისთვის ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის. ბორდმენმა მოზერის ავტორიტეტის დამხობის დღედ 23 ივლისი გამოაცხადა და ამით იგი დაუკავშირა „ტურ დე ფრანსის“ მე-18 ეტაპს. პოპულარული ველომარათონის მონაწილენი ამ დღეს სწორედ ბორდოში იქნებიან.

პდრმ—გდრ-ის, ახლა გერმანიის ჩემპიონი

მსოფლიო ექსჩემპიონი 1000 მეტრზე გიტში (ადგილიდან) იენს გლიუკლიჰი (იგი, სხვათა შორის, „საქართველოს ტელევიზიის პრიზის“ გათამაშების ერთ-ერთი ლაურეატიც გახლავთ) სამჯერ იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი სატრეკო ველოსპორტის ამ სახეობაში. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ მას არ აღმოუჩნდა ღირსეული კონკურენტი დასავლეთში, ამიტომ ჩემპიონის ტიტული კიდევ ორჯერ მოიპოვა უკვე გაერთიანებულ გერმანიაში.

ახლახან კოტბუსში დამთავრებულ ჩემპიონატზე მან 1.05,91 აჩვენა, რაც მაინცდამაინც დიდ მიღწევად არ შეიძლება ჩაითვალოს. პრიზიორთა შორის აღმოჩნდნენ მარკუს ნაგელი (1.06,95) და მათეას იურკე (1.08,49).

პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მიჰაელ ჰიუბნერმა ადვილად მოიგო თავისი ძირითადი სახეობა — „კეირინი“ (სპრინტის თავისებური ვარიანტია).

ჩემპიონატების ექო

ახლახან თურქეთი ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატებს მასპინძლობდა. ამ ასპარეზობათა შედეგები „ლელომ“ თავის დროზე აუწყა მკითხველს. დღეს, ტრადიციულად, გთავაზობთ ჩემპიონატების პრიზიორთა ნუსხას.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

სტამბული. 7-10 მაისი

48 კგ. 1. ზ. გულევი (რუსეთი), 2. ნ. ზაგრანიჩნი (ისრაელი), 3. გ. პაპაშვილი (საქართველო).

52: 1. ნ. აივაზოვი (აზერბაიჯანი), 2. ა. კალაშნიკოვი (უკრაინა), 3. ს. დანიელიანი (რუსეთი)... თ. ყაზარაშვილი (საქართველო) — უადგილოდ.

57: 1. მ. ლინდგრენი (ფინეთი), 2. რ. კაკიმნოვი (უკრაინა), 3. მ. სანდუ (რუმინეთი).

62: 1. ს. მარტინოვი (რუსეთი), 2. ზ. ბოლი (უნგრეთი), 3. მ. ა. პერიმი (თურქეთი)... 7. ა. ჩაჩუა (საქართველო).

68: 1. ი. დუგუჩიევი (რუსეთი), 2. ო. ტაკარვე (მოლდოვა), 3. კ. მაჯიდოვი (ბელარუსი).

74: 1. გ. შეგლევი (რუსეთი), 2. ა. რუსალიევი (აზერბაიჯანი), 3. ს. დობრევი (ბულგარეთი)... 8. გ. ჯინჭველაშვილი (საქართველო).

82: 1. ო. ზანდერი (გერმანია), 2. ჰ. იერლიქა (თურქეთი), 3. მ. კარდანოვი (რუსეთი)... გ. ციციაშვილი (საქართველო) — უადგილოდ.

90: 1. ი. ოლსონი (შვეცია), 2. ა. ბოლოვი (ბულგარეთი), 3. ჰ. ბასარი (თურქეთი).

100: 1. ს. დემიაშკევიჩი (ბელარუსი), 2. ი. შავხალოვი (რუსეთი), 3. თ. თედორაძე (საქართველო).

130: 1. ა. კარელინი (რუსეთი), 2. პ. კოტიკი (უკრაინა), 3. ს. ბურენკო (მოლდოვა).

გუნდური ადგილები: 1. რუსეთი — 61 ქულა, 2. უკრაინა — 52, 3. თურქეთი — 38, 4. ბულგარეთი — 36, 5. ბელარუსი —34, 6. პოლონეთი — 31, 7. შვეცია — 27, 8-9. საქართველო, უნგრეთი — 23-23, 10. გერმანია — 22.

თავისუფალი ჭიდაობა

სტამბული. 13-16 მაისი

48: 1. მ. ნედკოვი (ბულგარეთი), 2. ი. შუქრუოღლუ (თურქეთი), 3. ვ. ივტინი (უკრაინა).

52: 1. ა. ორელი (თურქეთი), 2. ს. დავიდოვი (რუსეთი), 3. მ. კუშნირი (უკრაინა).

57: 1. მ. მუსოღლუ (თურქეთი), 2. ს. სმალი (ბელარუსი), 3. ა. აზიზოვი (რუსეთი)... დ. პოღოსიანი (საქართველო) — უადგილოდ.

62: 1. მ. აზიზოვი (რუსეთი), 2. ი. აბასოვი (აზერბაიჯანი), 3. ს. ფერნკიკი (სლოვენია)... შ. მაჰომედოვი (საქართველო) — უადგილოდ.

68: 1. ზ. ზოზიროვი (საქართველო), 2. ა. გევორქიანი (სომხეთი), 3. გ. მაკოევი (რუსეთი).

74: 1. ა. ჰაკპაუზი (გერმანია), 2. ი. ნადი (უნგრეთი), 3. ვ. პესოვი (მოლდოვა).

82: 1. რ. ქელეხსაევი (რუსეთი), 2. ს. ოზთიურქი (თურქეთი), 3. ა. სავკო (ბელარუსი)... 5. დ. ხურცია (საქართველო).

90: 1. ჯ. თედეევი (უკრაინა), 2. ე. კურტანიძე (საქართველო), 3. ქ. სიმსეკი (თურქეთი).

100: 1. ა. საბაევი (გერმანია), 2. ა. ნეჩიპურენკო (უკრაინა), 3. ა. ქაიალი (თურქეთი)... ზ. ტყეშელაშვილი (საქართველო) — უადგილოდ.

130: 1. მ. დემირი (თურქეთი), 2. მ. ვალიევი (უკრაინა), 3. გ. ქილცოვი (რუსეთი)... 9. ზაზა თურმანიძე (საქართველო).

გუნდური ადგილები: 1. თურქეთი — 76, 2. რუსეთი — 66, 3. გერმანია — 50, 4.უკრაინა—48, 5. ბელარუსი — 42, 6. ბულგარეთი — 37,5, 7. სომხეთი — 32, 8. პოლონეთი — 31, 9. საქართველო —27, 10. უნგრეთი — 24.

• • •

რამდენიმე სიტყვით ჩვენს პრიზიორებზე:

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ბერძ.-რომ-ლი ჭიდაობა. გელა პაპაშვილი (48 კგ) — III ადგილი. გაიმარჯვა: ი. ჰამზოკთან (უნგრეთი) — 6:2, ი. კაზარიანთან (სომხეთი) — 1:0, დამარცხდა ზ. გულევთან (რუსეთი), წმინდად, მოუგო: ა. კლაპს (პოლონეთი) — 7:3, ა. მატერნს (უკრაინა) — 3:1, ფ. რეზერატს (შვეცია) — 9:5.

თენგიზ თედორაძე (100) — III ადგილი. გაიმარჯვა ი. ბრაზერთან (ჩეხეთი) — 10:0, დამარცხდა ი. შავხალოვთან (რუსეთი) — 2:3, მოუგო: ი. იორდანოვს (ბულგარეთი) — 3:0, რ. გროსს (გერმანია) — 4:2, ა. ვრონსკის (პოლონეთი) — 3:2.

თავისუფალი ჭიდაობა. ზაზა ზოზიროვი (68) — I ადგილი. დაამარცხა: მ. გელერი (ისრაელი) — 9:0, ა. ბადაიერი (ლატვია) — 7:0, ფ. ოსბარი (თურქეთი) — 4:0, ა. გევორქიანი (სომხეთი) — 3:1.

ელდარ კურტანიძე (90) — II ადგილი. მოუგო: პ. მარის (რუმინეთი) — 2:1, ქ. სიმსეკს (თურქეთი) — 1:0, ა. აბდურაჰმანოვს (ბულგარეთი) 3:0, დამარცხდა ჯ. თედეევთან (უკრაინა) — 1:3.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380008, ბ. კოხტავას, 14. ☎ ტელეფონი: 99-58-14. ინდექსი 66435 INDEX

დაიბეჭდა გამომცემლობა „ხაშო ბლოში“.